საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2788/01
22/03/2022

2788-01-2-202203221335

შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნს“

ელ.ფოსტა: g.margebadze@unienergy.ge

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №3210 განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვრის მიმდებარედ, მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ნატანები 3 ჰესის) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო სანაყაროს კიდის ტანი მდ. ნატანებიდან დაშორებული იქნება არანაკლებ 10 მეტრით. გამომდინარე იქიდან, რომ მდ. ნატანების სიგრძე შეადგენს 60 კმ-ს, სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-4 თავში აღნიშნულია, რომ თავდაპირველი სანაყაროს ფართობი შეადგენდა 8 000 $მ^2$-ს, ხოლო 3.2 თავში თავდაპირველი სანაყაროს ფართობად მითითებულია 8 200 $მ^2$. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 540 მეტრში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, კერძოდ, „ვაკიჯვრის“ ეკლესია. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკის (რაოდენობისა და ტიპების მითითებით) შესახებ ინფორმაცია;

- დასაზუსტებელია, თუ საიდან მოხდება სანაყაროსთვის და ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების, მათ შორის ქვანაყარი ბერმის მოსაწყობად საჭირო ფლეთილი ლოდების შემოტანა;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასებული არ არის საპროექტო სანაყაროსა და ნაპირსამაგრის მოწყობისათვის ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების შესახებ ინფორმაციის თავდაპირველ პროექტთან შედარება (რაოდენობებისა და სახეობების მითითებით) და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- დოკუმენტში აღწერილი და შეფასებული არ არის სამშენებლო სამუშაოების პროცესში ზედაპირული/გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და აღნიშნული ზემოქმედების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოსაქმნელი ნარჩენების სავარაუდო სახეობების, რაოდენობებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე